ბრძანება

N 325
28/05/2020

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სრული სასერტიფიკაციო პროგრამისა და საგამოცდო პროცესის აღიარების შესახებ

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს წარედგინა ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სრული სასერტიფიკაციო პროგრამა და საგამოცდო პროცესი (ს/ნ 203843804; განცხადებების N544, 24.12.2019წ.; N157; 06.05.2020წ.), რომლითაც მოთხოვნილია სრული სასერტიფიკაციო პროგრამის და საგამოცდო პროცესის აღიარება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტისა და სასერტიფიკაციო პროგრამებისა და საგამოცდო პროცესის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 აგვისტოს N6-13 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტის და სასერტიფიკაციო პროგრამების, საგამოცდო პროცესის, სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი ორგანოს, საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელი პირის ცალკეული დისციპლინების (საგნების) და განგრძობითი განათლების პროგრამის აღიარების კომისიის სხდომის გადაწყვეტილების (ოქმი №1) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დასრულდეს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სრული სასერტიფიკაციო პროგრამისა და საგამოცდო პროცესის აღიარებასთან დაკავშირებული წარმოება;

2. მოთხოვნა დაკმაყოფილდეს და აღიარდეს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის 2020 წლის 06 მაისის N157 განცხადებით წარმოდგენილი სრული სასერტიფიკაციო პროგრამა და საგამოცდო პროცესი;

3. მიენიჭოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის სრულ სასერტიფიკაციო პროგრამას ნომერი - SARAS-IPD-0001 და საგამოცდო პროცესს ნომერი - SARAS-EXP-0001;

4. დაევალოს სამსახურის შესაბამის თანამშრომლებს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ წარმოდგენილი სრული

სასერტიფიკაციო პროგრამისა და საგამოცდო პროცესის სტანდარტთან და კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მონიტორინგის განხორციელება;

5. დაევალოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას აღიარებული სრული სასერტიფიკაციო პროგრამისა და საგამოცდო პროცესის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნება (www.gfpaa.ge);

6. დაევალოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას ფსიქომეტრიული ანალიზის დანერგვასა და კანდიდატთა შესახებ ინფორმაციის ახალი მონაცემთა ბაზის შექმნასთან დაკავშირებით ინფორმაციისა და მისი გეგმის შეუსრულებლობის მიზეზების შესახებ ანგარიშის საზოგადოებისათვის წარდგენა, ვებგვერდზე (www.gfpaa.ge) ასახვის გზით;

7. ამ ბრძანების მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსება ჩაითვალოს ინფორმაციის სამსახურისათვის მიწოდებად;

8. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციას ბრძანების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღის ვადაში;

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოში (მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16) ან თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ; N6).

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური